სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 58

2021 წლის 28 აპრილი

ქ. თბილისი

საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს N176/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N07 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის სქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2021 წლის 28 აპრილის სამსახურებრივი ბარათის (N419544) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო განაცხადები ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, თამარ ბოკუჩავას წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

001364

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 28 აპრილის №58 ბრძანებით

საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ 2021 წლის საგრანტო
კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	განაცხადის მოხსნის მიზეზი
1	SP-21-972	პროგრამირებადი ჩაშენებული სისტემები	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	პროექტი არ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს №176/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტს
2	SP-21-343	რა არის "პოლიტიკური ისლამი"	ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება	პროექტი არ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს №176/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტს და ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N07 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს.
3	SP-21-809	გივი ელიავას "სამეგრელო. მხარეთმცოდნეობითი შრომები" გამოცემა	მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	პროექტი არ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს №176/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „უ“ პუნქტს